

1 იკლისი

რიგითი XIII კვირა [I], მწ

(18.VI) წმ. ღირსი მიქაელ ულუმბელი, მონაზონი, VII

2021 ხუთშაბათი

დაბ 22,1-19; ფს 114; მთ 9,1-8

ხალხი განცვიფრდა და ადიდებდა ღმერთს მთ 9,8

დავრდომილი ადამიანის აღგომა და სიარული ყოველდღიური სანახავი როდია. იესომ, ძემ ღმრთისამ, მოახდინა ეს სასწაული. მორწმუნეთა რწმენამაც შეიძლება პოვოს მსგავსი პასუხი. წმიდანთა ცხოვრებაში მოთხრობილია მრავალი სასწაული და ისინი, ვინც თავმდაბალი გულით ხედავენ მათ, ადიდებენ ღმერთს.

2 ივლისი

რიგითი XIII კვირა [I], მწ

2021

პარასკევი

დაბ 23,1-4.19; 24,1-8.10.62-67; ფს 105; მთ 9,9-13

იესომ დაინახა კაცი, სახელად
მათე და უთხრა: „მოძევი“ მთ 9,9

იესო, შენ ყოველივესა და ყველას სიყვარულის მზერით უყურებ, მუდამ მამისა და წმიდა სულისა-კენ მიპყრობილი სასმენელით. შენ იხმოვ თავმდაბლებს, რომელნიც მოგელიან და მზად არიან შენს კვალში ჩადგნენ. შენა ხარ ნამდვილი სიცოცხლე და გზა ზეცისაკენ: მადლობა, რომ ხარ.

3 ივლისი

წმ. თომა მოციქული, (ღ), [ს], წ

2021

შაბათი

ევ 2,19-22; ფს 116; იო 20,24-29

მოიცა შენი ხელი... და
ურწმუნო ნუ იქნები იო 20,27

შენთვის, იესო, ყოველი მოწაფე ძვირფასია. შენ წარუდექი თომას, რომელსაც ვერ დაეჯერებინა სხვა შენი მოწაფეების სიტყვა, აღმდგარი რომ ჰყავდი ნანახი. სიფაქიზით გაკიცხე იგი და უთხარი, შეხებოდა შენს იარებს და არ გაჯიუტებულიყო ურწმუნოებაში.

მადლობა: თუ საჭიროდ ჩათვლი, მეც შემისწორე.

4

ივლისი

რიგითი XIV კვირადღე, «ბ», [II], მწ

2021

კვირა

ეზეკ 2,2-5; ფს 122; 2კორ 12,7-10; მარ 6,1-6

ცოცაოდენ სნეულს დაასხა ხელნი და განკურნა მარ 6,5

შესაძლოა დღეს, საკვირაო წირვაზე ჩვენც ცოტანი ვიქნებით..., მაგრამ იესო მაინც იქნება! ამიტომ, შეგვიძლია სიხარულით და უპირველეს ყოვლისა რწმენით მივიღეთ მასთან შესახვედრად, მის მოსასმენად, იმისი ცოდნით, რომ ცოცხალია და ჩვენთანაა და ჩვენთვისაა. იგი კვლავ შეძლებს შეგვცხოს, განგვკურნოს, განგვაახლოს, დაგვაპუროს... და მისი ძალა შეძლებს დამკვიდრდეს და იმოქმედოს ჩვენში და ჩვენით.

5 ივლისი

რიგითი XIV კვირა [II], მწ

წმ. ანტონ მარია ზაქარია, ხუც., +1539

2021

ორშაბათი

დაბ 28,10-22; ფს 90; მთ 9,18-26

გამხნევდი, ასულო, შენმა
რწმენამ გიხსნა შენ მთ 9,22

მადლობა, იესო, შენი რწმენის ნიჭისათვის,
რომელიც ხარ ყოველთა ხსნა და მშვიდობა.
მადლობა, რომ გვიმზერ და კმაყოფილი ხარ, როცა
გვწამს შენი. შენ მე მიხსენი მაშინ, როცა აღარც
იმედი მქონდა და აღარც მშვიდობა.

6

ივლისი

რიგითი XIV კვირა [II], მწ

წმ. მარია გორუტი, ქალწ. და მოწ., +1902

2021

სამშაბათი

დაბ 32,23-33; ფს 16; მთ 9,32-38

ეკედრეთ სამკლის პატრონს,
მოავლინოს მუშაკნი თავის
სამკალში მთ 9,38

მადლობა, იესო, რომ მოხვედი დედამიწაზე ჩვენნაირი, მაგრამ უცოდველი ადამიანი. მადლობა, რომ ხედავ ჩვენს უბადრუკობას და გებრალეებით. მადლობა, რომ მამის იმედს გვინერგავ და გვიგზავნი მათ, ვინც გვეხმარებიან ვიცხოვროთ შენი გულისამებრ.

7 იკლისი

რიგითი XIV კვირა [II], მწ

2021 ოთხშაბათი

დაბ 41,55-57; 42,5-7.17-24; ფს 32; მთ 10,1-7

მისცა მათ ხელმწიფება უწმი-
დურ სულთა განდევნისა მთ 10,1

ჩვენგან და მოყვასისაგან ავი, უწმიდური
სულების განდევნა, იმ სულებისა, რომლებიც
ხელს გვიშლიან ყური დაგიგდოთ და შეგიყვაროთ,
ჩვენს შესაძლებლობებში როდია, არამედ
მხოლოდ შენი საჩუქარია, იესო. ჩვენც მოგვანიჭე
ეს მადლი! ამგვარად, რჩევის, შეგულიანების,
ლოცვის საშუალებით გავხდებით ჩვენი ძმების
კეთილისმყოფელნი.

8 იკლისი

რიგითი XIV კვირა [II], მწ

2021 ხუთშაბათი

დაბ 44,18-21.23-29; 45,1-5; ფს 104; მთ 10,7-15

უსასყიდლოდ მიგიღიათ და
უსასყიდლოდვე გაეცით მთ 10,8

იესო, შენ მოხვედი ამქვეყნად სამსახურად, თავის
მისაძღვნელად, მამის ნების აღსასრულებლად,
სრულებით უპრეტენზიოდ. მაღლობა, რომ
მოუხმობ შენ მოწაფეებს მოგბაძონ ცხოვრებით,
წმიდა სიტყვებისა და სიყვარულით სავსე
მსახურების გაწვდით.

9 იკლისი

რიგითი XIV კვირა [II], მწ

წმმ. ავგუსტინე ჟაო რონგი და მეგობ.,
ჩინელი წამებულნი +1648-1930

2021

პარასკევი

დაბ 46,1-7.28-30; ფს 36; მთ 10,16-23

თქვენ კი არ ილაპარაკებთ,
არამედ სული თქვენი მამისა
ილაპარაკებს თქვენში მთ 10,20

რომ დამენებებინა მისთვის ლაპარაკი! ამის
ნაცვლად, მაშინვე ვიწყებ ხოლმე ჩემს ფიქრებში
და ნააზრევში იმის ძიებას, რა ვთქვა, როგორ
ვუპასუხო, როგორ მოვაგვარო... მომიტევე, მამაო,
რადგან საკუთარ თავს უფრო ვენდობი, ვიდრე შენ;
მავიწყდება, რომ მანიჭებ ნუგეშისმცემელს, შენს
სულს, რათა წარმიძღვეს, შთამაგონოს, გაბედულ
მოწმედ მაქციოს. ვიცი, რომ თუ მას მივენდობი,
საოცრებებს ვიხილავ.

10 ივლისი

რიგითი XIV კვირა [II]

(27.VI) წმ. ღირსი გიორგი მთაწმინდელი, +1065, (მ), თ

2021

შ ა ბ ა თ ი

დაბ 49,29-33; 50,15-26; ფს 104; მთ 10,24-33

ნუ შიშობთ, თქვენ მრავალ
ბელურაზე უძჯობესნი ხართ მთ 10,31

მადლობა, იესო, რომ შთაღვრი ჩვენში, შენს მოწაფეებში, იმ იმედს, რომელსაც თვად ამყარებ შენს მამაში, ყველა თავის ქმნილებაზე რომ ფხიზლობს. შემეწიე ვიცხოვრო მუდამ იმედსა და ერთგულებაში, მაშინაც, როცა დამცინებენ და მღევნიან.

11

ივლისი

რიგითი XV კვირადღე, «ბ», [III], მწ

2021

კვირა

ამ 7,12-15; ფს 84; ეფ 1,3-14; მარ 6,7-13

რაბათში ბენედიქტელ დედათა დღესასწაული

აძევებდნენ მრავალ ეშმაკს მარ 6,13

მოწაფეებმა გაუგონეს იესოს: პირველ რიგში იუწყებოდნენ ცათა სასუფეველის მოსვლას, ანუ, მამის მიერ მოვლენილი მეფის მოსვლას, და ამგვარად ეშმაკები იძულებული ხდებოდნენ გასცლოდნენ იქაურობას. როდესაც იესოა ადამიანის გულში, ან ოჯახში, იქ აღარაფერი ესაქმება შურს, სიძულვილს, სიბილწეს, უთანხმოებას და სიძუნწეს. იესო-სთან ერთად სიყვარული და თანხმობა მეფობს.

12 იკლისი

რიგითი XV კვირა [III], მწ

2021 ორშაბათი

გამ 1,8-14.22; ფს 123; მთ 10,34 - 11,1

ვისაც მამა ან დედა
ჩემზე მეტად უყვარს,
არ არის ჩემი ღირსი მთ 10,37

ვისაც შენ უყვარხარ ყოველივეზე მეტად, მას
ძალუძს ნამდვილი სიყვარული აჩუქოს თავის
ნათესავეებსაც, მათი თავგებობისა და უძღვურების
გათვალისწინების გარეშე. იესო, მინდა შენ მინდო-
დე ყველაზე მეტად.

13 ივლისი

რიგითი XV კვირა [III], მწ

(30.VI) წმ. დინარ დედოფალი, X ს;

წმ. ჰენრიხი, + 1024

2021

სამშაბათი

გამ 2,1-15; ფს 68; მთ 11,20-24

იშვილა იგი და უწოდა მას
სახელად მოსე გამ 2,10

ღვთის ნებით, ეგვიპტის ფარაონის განკარგულებებით სიკვდილისთვის განწირული ებრაელი ბავშვი გადაარჩინა მისმა ქალიშვილმა, რომელმაც იშვილა იგი და დაარქვა მოსე. ამრიგად, ღმერთს შეუძლია შეცვალოს ადამიანთა გადაწყვეტილებები! არასოდეს არ უნდა წარვიკვეთოთ სასო!

14 ივლისი

რიგითი XV კვირა [III], მწ

წმ. კამილო დე ლელისი +1614

კამილიელთა ორდენის დამაარსებელი

2021

ოთხშაბათი

გამ 3,1-6.9-12; ს 102; მთ 11,25-27

კამილიელ მამათა და დედათა დღესასწაული,
სნეულთა და მედმუშაკთა მფარველი

ყველაფერი მამისაგან
მომეცა მთ 11,27

იესო, შენ აღიარებ, რომ ყოველივე მიგიღია მამისაგან. მან მოგანიჭა თავისი სიყვარული, მთელი თავისი სიყვარული და მხოლოდ სიყვარული. ჩვენც შეგთხოვთ შენ მამის სიყვარულს და სხვა არაფერს. მადლობა, რომ შენი სისავსის მონაწილედ გვხვდი!

15 ივლისი

რიგითი XV კვირა [III]

წმ. ბონავენტურა, ეპ. და მოძ., +1274, (მ), თ

2021 ხუთშაბათი

გამ 3,13-20; ფს 104; მთ 11,28-30

მოდით ჩემთან... და მე
მოგასვენებთ თქვენ მთ 11,28

სცადე, მაშინაც კი, თუ ეს არასოდეს გაგიკეთებია. იესოს დაუთმე ნახევარი დღე წყნარ აღვილას, საწმიდარში, სამლოცველოში... მისი სიყვარულისა და თვინიერების შემხედვარეს მრავალი ტვირთი გაგიქრება; განსაკუთრებით სხვებისა თუ შენი საკუთარი ამპარტავნებით გამოწვეული ტვირთები. იგრძნობ სიმსუბუქესა და სიმტკიცეს და იესო გაგიკვალავს გზას.

16 ივლისი

რიგითი XV კვირა [III], მწ

(3.VII) წმ. ღირსი გიორგი ღმერთშემოსილი, დაყუდებული, +1068; / კარმელის მთის ნ. ქალწული მარიამი

2021

პარასკევი

გამ 11,10 - 12.14; ფს 115; მთ 12,1-8

აიღონ მისი სისხლი და სცხონ
იმ სახლის ორთავე წირთხლს გამ 12,7

იმ კრავის სისხლი, ღვთის კრავის სისხლს რომ მიანიშნებს, ღვთის ძის სისხლს, წინ ელობებოდა მომსვრელ ანგელოზს, რომ არ ეთესა სიკვდილი.

ერთადერთი მაცხოვრის, იესოს სისხლი, თუკი მოვუხმობთ და ვღებულობთ, იცავს ჩვენი გულე-ბის კარს მტრის მრავალი შემოტევისაგან, მოსაკლავად რომ მოდის: უთანხმოება, შური, სიძუნწე, სიბილწე..., და ტოვებს მხოლოდ მამის სიყვარულსა გულმოწყალებას.

17 იკლისი

რიგითი XV კვირა [III], მწ

2021

შ ა ბ ა თ ი

გამ 12,37-42; ფს 135; მთ 12,14-21

აჰა, მსახური ჩემი,
რომელიც ავირჩიე მთ 12,18

იესო შორდება. თუმცა ხალხი მაინც მრავლად მისდევს მას, და ისიც ჰკურნავს მათ სნეულებს. იგი „უბრძანებს“, არ გაამჟღავნონ ეს ამბავი. მიხვდებიან, რომ იგი მესიაა გარდა ამ ნიშნებისა, ესაია წინასწარმეტყველის წიგნიდანაც, რომელიც სწორედ ასე იწყება: „აჰა, ჩემი მსახური...“. იესო „მსახურია, თავის მოწინააღმდეგეებს რომ არ ედავება, ხმამაღალი ყაყანით რომ არ უმტკიცებს არავის არაფერს, რომელიც გვიწვდის თავის სიცოცხლეს, რათა ყველამ შეძლოს მისი სახელის სასოება.

18

ივლისი

რიგითი XVI კვირადღე, «ბ», [IV], მწ

2021

კვირა

იერ 23,1-6; ფს 22; ეფ 2,13-18; მარ 6,30-34

ჭამის დროც არ ჰქონდათ მარ 6,31

დღესაც ასე ხდება ხოლმე, რომ ისინი, ვინც თავი უძღვნეს იესოს, მოხმობილნი არიან განუწყვეტელი მსახურებისაკენ და ძლივს პოულობენ დროს საკუთარი თავისთვის და დასასვენებლად. მაღლობა, იესო, რომ შენ მიუზღავ მათ, ვინც ერთგულად და სულგრძელად გემსახურება.

19 ივლისი

რიგითი XVI კვირა [IV], მწ

2021

ორშაბათი

გამ 14,5-18; ფს: გამ 15,1-6; მთ 12,38-42

აქ სოლომონზე უმეცესია! მთ 12,42

იესო განიცდის, როცა ხედავს, რომ მის წმიდა სიტყვას კარს უხურავენ, მაშინ, როცა შორიდან მოვიდა ერთი დედოფალი, რათა სოლომონის ოდენ ადამიანური სიბრძნე ესმინა. იესო, შენა ხარ ღვთის სიბრძნე; მწაღია გისმინო გახსნილი და დამყოლი გულით: მაშინ ვიხილავ, როგორ გაიპოვა ზღვა ჩემს წინაშე, ვიხილავ შენმიერ ხსნას.

20 ივლისი

რიგითი XVI კვირა [IV], მწ

წმ. აპოლინარიუსი, ეპ. და წამ., III

2021

სამშაბათი

გამ 14,21-31; ფს: გამ 15,8-12:17; მთ 12,46-50

ვინც ასრულებს ჩემი მამის
ნებას, იგია ჩემი ძმა მთ 12,50

იესოს უყვარს მამა და, როგორც ძე, მუდამ იმის
მცდელობაშია, რაც მამას სწავლია.

თუ მეც ვითავისებ მამის სურვილს, რათა აღვასრუ-
ლო ის, ვარ ძე, იესოსთან თანაზიარებაში. იგი მღე-
ბულობს ნამდვილად როგორც ძმას და მეც ვხარობ
ამ ზეციური ნათესაობით!

21 ივლისი

რიგითი XVI კვირა [IV], მწ

წმ. ლავრენტი ბრინდიზელი, ხუც. და მოძ. +1619

2021 ოთხშაბათი

გამ 16,1-5.9-15; ფს 77; მთ 13,1-9

კამილიელი მ. პავლე შჩეპანეკის გახსენება (+1999)

ვისაც ყურნი აქვს, ისმინოს მთ 13,9

იესომ მოგვცა თავისი სიტყვა და დღესაც იძლევა თავის ეკლესიაში. ვინც გამოყოფს დროს მის მოსასმენად და დასაცავად, დიდ სარგებელს ნახავს გულში სინათლის, მშვიდობისა და სიყვარულის სახით. მადლობა, იესო, ახალი სიცოცხლის წყაროვ.

22 ივლისი

წმ. მარიამ მაგდალელი, დ, [ს], თ

2021 ხუთშაბათი

ქებ 3,1-4 ან, 2კორ 5,14-17; ფს 62; იო 20,1-2.11-18

დ. ნოელ ლოკატელის გახსენება (+2019)

ვიხილე უფალი! იო 20,18

დღეს პატივს მივაგებთ მარიამ მაგდალელს, აღმდგარი ქრისტეს პირველ მაცნეს. ამ ამბის გაჟღერება შეუძლია ყოველ ქრისტიანს კვლავაც და კვლავაც. თუ ყურადღებით ვიქნები, ყოველ დღე შემეძლება ვთქვა: „ვიხილე უფალი“: ლოცვის დროს, ამა თუ იმ „დამთხვევაში“ ან წინალობაში, შეხვედრაზე...

23 ივლისი

წმ. ბრიგადა, +1373 მონაზონი
ევროპის მფარველი დ, [ს], თ

2021

პატარავები

გალ 2,19-20; ფს 33; იო 15,1-8

დარჩით ჩემში და მე თქვენში იო 15,4

წმიდა ბრიგადა, შენ გაუგონე იესოს, როცა მისი ეს სიტყვა შეასრულე. შენი მაგალითი გვეხმარება ვიყოთ მუდამ მასთან ერთობაში, ბეჯითად ვუსმინოთ მას, წმიდა წირვაში მივიღოთ მონაწილეობა, ვილოცოთ, ვჭვრიტოთ მისი ვნება და ვიცხოვროთ ძმურ სიყვარულში.

24 ივლისი

რიგითი XVI კვირა [IV], მწ

წმ. სარბელიუს მახლუფი, ხუცესი, +1898

2021

შაბათი

გამ 24,3-8; ფს 49; მთ 13,24-30

კამილიელი მ. ნინო (ჯანჯიროლამო) მარტინის გახსენება (+2017)

აილო აღთქმის წიგნი და
წაუკითხა ხალხს გამ 24,7

წმიდა წერილი გვიცხადებს თუ რა სიყვარულით უყვარს ღმერთს თავისი ერი და მთელი კაცობრიობა. იგი მოკავშირედ შეეკვრება მათ, ვინც მას ყურს უგდებს, უგონებს და დაჰყვება. მოსე ერს უკითხავს წიგნს: ვისწრაფოთ ჩვენც მის მოსასმენად, როდაც ვიცით, რომ წიგნი იკითხება ყველასათვის!

25

ივლისი

რიგითი XVII კვირადღე, «ბ», [1], მწ

2021

კვირა

4მეფ 4,42-44; ფს 114; ეფ 4,1-6; იო 6,1-15

დასხით ისინი იო 6,10

დიდძალი ხალხი მიჰყვება იესოს და ყურს უგდებს მას. იგი ზრუნავს მათ შიმშილზე, ანუ, მათ სიცოცხლეზე, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, სურს გააცნოს მათ საკუთარი თავი. იოლი მოსალოდნელია, რომ მისგან მხოლოდ სნეულებისაგან განკურნებას მოელოდეს ადამანი, და არ მიიღოს იგი, როგორც ძე ღვთისა. ამიტომ იგი ითხოვს მარტივი მორჩილების აქტს, რომ დასხდნენ ბალახზე. ვინც დაჰყვება, უკვე ამოქმედებს ცოტაოდენ რწმენას, შესაბამისად მისი შეცნობის უნარიც ექნება.

26 ივლისი

რიგითი XVII კვირა [1]

წმიდანი იოაკიმე და ანა,
მშობელნი ნეტარი ქალწული მარიამისა, (მ), თ

2021

ორშაბათი

გამ 32,15-24.30-34; ფს 105; მთ 13,31-35

ცათა სასუფეველი ჰგავს
მდოგვის მარცვალს მთ 13,31

ცოტანი ვართ? მცირენი ვართ? დიახ, მაგრამ იესოს ვუგონებთ და დავყვებით მას. ჩვენა ვართ „ცათა სასუფეველი“, მრავალთათვის საჭირო, ვინაიდან ჩვენში იმყოფება საუკუნო სიცოცხლე. ჩვენა ვართ თითქმის უმნიშვნელო, მცირე რეალობა, რომელსაც შეუძლია გამოათავისუფლოს მსოფლიოს გარდამქმნელი ენერგია.

27 ივლისი

რიგითი XVII კვირა [I], მწ

2021 სამშაბათი

გამ 33,7-11;34,5-9.28; ფს 102; მთ 13,36-43

*ყველა ურჯულოების მოქმედს
ჩაყრიან ცეცხლის ქურაში* მთ 13,41-42

სარეველა, ეშმაკმა რომ დათესა ეკლესიაში, იქნება წუთისოფლის აღსასრულამდე. მაშინ აღმოიფხვრება ის ანგელოზთა ხელით. იესო, შეგვეწიე არ მივცეთ მას ადგილი ჩვენს გულებში და მოთმინებით ვიბეჯითოთ შენს სიყვარულში!

28 ივლისი

რიგითი XVII კვირა [I], მწ

(15.VII) წმმ. ივლიტა და კვირიკე, წამ. (+~305)

2021 ოთხშაბათი

გამ 34,29-35; ფს 98; მთ 13,44-46

ყიდის მთელ თავის ავლადიდებ-
ბას და ყიდულობს იმ ყანას მთ 13,44

იესო საუბრობს ცათა სასუფეველზე, რომელიც ფასდაუღებელ საგანძურს ჰგავს. შესაძლოა მოხდეს ისე, რომ მავანმა მიაგნოს მას ერთი შეხედვით ღარიბ და მრავალთათვის არაფრით გამორჩეულ „ყანაში“. იქ, სადაც იესოს სახელით ცხოვრობენ, ეს განძი, რომელიცაა მისი ჩვენთან და ჩვენთვის ყოფნა, ბრწყინდება როგორც არასდროს. მისი მპოვნელი ყველაფერს დათმობს, რათა ამ სიმდიდრით მთლიანად გამდიდრდეს.

29 ივლისი

რიგითი XVII კვირა [1]

წმ. მართა, (მ), თ

2021 ხუთშაბათი

1 იო 4,7-16; ფს 33; იო 11,19-27 ან, ლკ 10,38-42

ვიცი, რომ აღდგება უკანას-
კნელ დღეს აღდგომისას იო 11,24

მართამ იხილა საფლავიდან გამოსული ლაზარე.
ჩვენ ვხედავთ მრავალ ადამიანს, რომლებიც იესოს
სიტყვაზე გამოდიან შიშის, უაზრო არსებობის,
თავიანთი ცოდვის საფლავიდან.
მადლობა, იესო – შენა ხარ ჩემი აღდგომა!

30 ივლისი

რიგითი XVII კვირა [I], მწ

წმ. პეტრე ქრიზოლოგი, ეპ. და მოძღ., +450

2021

პატარასკევი

ლევ 23,14-11.15-16.27.34-37; ფს 80; მთ 13,54-58

არ მოუხდენია იქ
მრავალი სასწაული მათი
ურწმუნობის გამო მთ 13,58

იესო მუდამ იმყოფება ჩვენს ცხოვრებაში.
როდესაც თავმდაბლები ვართ, ვახერხებთ
ნდობითა და სიყვარულით მივმართოთ მას;
ხოლო, როცა ამპარტავნობას ვირჩევთ,
გკარგავთ მისი ამოცნობის უნარს და
ვრჩებით მისი სიკეთისა და სიბრძნის გარეშე.

31 ივლისი

რიგითი XVII კვირა [1]

წმ. ეგნატე ლოიოლა, ხუც., +1556, (მ), თ

2021

შ ა ბ ა თ ი

ლევ 25,1.8-17; ფს 66; მთ 14,1-12

გეშინოდეს შენი ღვთისა,
რადგან მე ვარ უფალი,
თქვენი ღმერთი ლევ 25,17

ღვთისმომშიშობა ნიშნავს, ზრუნავდე იმაზე, რომ არაფრით დასწყვიტო მას გული და არ დაადარდიანო, არამედ ეცადო უპასუხო მის სიყვარულს მისი სიტყვის უმაღ და გულისყურით გაგონებით. ღვთისმომშიშობა მანიჭებს მადლიერებისა და სიხარულის უნარს.